ეკონომიკა, სამართალი და პოლიტიკა

დანაშაულის ფსიქოლოგია და პრევენცია

ვასილ ლაფერაშვილი

დანაშაულის, როგორც ანტისაზოგადოებრივი მოვლენის, კვლევას მრავალმა მეცნიერმა დაუთმო ყურადღება. დანაშაულს იკვლევს სოციოლოგია, კრიმინოლოგია და ფსიქოლოგია. ამ მეცნიერებებს შორის მთავარი როლი ფსიქოლოგიას მიეკუთვნება, რადგან ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის ფსიქოლოგიურ კვლევას აუცილებლად მივყავართ პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის გარკვევის აუცილებლობამდე. ეს ურთიერთობა საზოგადოება – ინდივიდი – პიროვნება სოციალურია თავისი ბუნებით. პიროვნების სოციალიზაცია გულისხმობს ცნობიერების შეგუებას გარკვეულ სოციალურ პირობებთან, რომელშიც იგულისხმება მსოფლმხედველობრივი, მეცნიერული, ზნეობრივი და სამართლებრივი ურთიერთობები, რაც უბიძგებს ინდივიდს დაემორჩილოს საზოგადოებრივ მოთხოვნებს. თუმცა ამ პროცესს გააჩნია გარკვეული ხარვეზები, სოციალური დეფექტები, რაც გამოიხატება ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში. ამგვარი გადახრები აისახება პიროვნების ფსიქიკაზე, რაც ქმედებაში დანაშაულს იწვევს.

სასამართლო-ფსიქოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ დანაშაულის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მიზეზებში უნდა ვიგულისხმოთ პიროვნების ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებები, რომლებიც წარმოიშვა მისი სოციალიზაციის პროცესში და რომლებიც მოცემულ სიტუაციაში განსაზღვრავს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს.

პიროვნების უარყოფითი თვისებები შედეგია სოციალიზაციის პროცესში წარმოქმნილი დაფექტების, რომელიც ვლინდება პიროვნების აღზრდის, გარემოსთან ადაპტაციის, მოთხოვნილებების ცვლილებებისა და სხვა ფაქტორებში. ამიტომ პიროვნების სოციალიზაციის დროს დაშვებულ დეფექტებში უნდა ვეძებოთ კანონსაწინააღმდეგო ქმედების მიზეზები.

საზოგადოება მუდმივად ცდილობს გააკონტროლოს მის მიერ დადგენილი სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმები. პიროვნება აცნობიერებს ამ მოვალეობას და ცდილობს დაიცვას ისინი, სოლიდარულია მის მიმართ. ესაა მისი სოციალიზაციის პირობაც. მაგრამ სოციალური კონტროლი ყოველთვის არ არის ეფექტური, რადგან ამ პროცესში თავს იჩენს ცალკეულ პიროვნებათა უარყოფითი, ნეგატიური დამოკიდებულება ამ ნორმების მიმართ, რაც საფუძველი ხდება ანტისაზოგადოებრივი ქმედებისა. ამ შემთხვევაში პიროვნება სოციალური კონტროლის გარეთ დგას.

პიროვნების სოციალიზაციის პროცესში დიდი მნიშნელობა ენიჭება სოციალური ცხოვრების გამოცდილებას – როგორ იცხოვროს და იმოქმედოს საზოგადოებაში პიროვნებამ, რათა მას გააჩნდეს გარკვეული ფუნქცია.

ადამიანი გამოცდილებას მთელი ცხოვრების მანძილზე იძენს, რომელზეც გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა, ინსტიტუტი, მიკროკოლექტივი, პირადი გამოცდილება, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, გაზეთი და სხვა. ამ პროცესში დაშვებული ნებისმიერი შეცდომა საფუძველი ხდება ანტისაზოგადოებრივი და კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისა. აქედან გამომდინარე, გარემოს შეუძლია პიროვნებაში განავითაროს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები.

პიროვნული ურთიერთობები განსაკუთრებით კარგად ვლინდება მიკროკოლექტივებში. ამიტომ მიკროკოლექტივის ბუნებიდან გამომდინარე შეიძლება ვისაუბროთ პიროვნების დადებით და უარყოფით თვისებებზე.

სოციალიზაციის პროცესში დაშვებულ დეფექტებს გამოვლენის მრავალფეროვანი ფორმები გააჩნიათ. მიკროკოლექტივი ხშირ შემთხვევაში ანტისოციალური მიმართულებისაა, იგი იმდენად ძლიერად მოქმედებს პიროვნებაზე, იმდენად ძლიერია არაფორმალური ჯგუფების გავლენა, რომ პიროვნება მთლიანად ემორჩილება მასში მოქმედ „კანონებს“ და ხდება პოტენციური დამნაშავე.

პიროვნებას თავადაც გააჩნია გარკვეული უარყოფითი თვისებები, რომლებიც მისი ფსიქიკური თავისებურებებიდან მომდინარეობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინააღმდეგობა მის პიროვნულ მოთხოვნილებებსა და დაკმაყოფილების საშუალებებს შორის, რასაც მივყავართ პიროვნების ზესოცი-

ალიზაციამდე, აღრმავებს მის აგრესიულობას, რაც ანტისამართლებრივი ქმედების საფუძველი ხდება.

პიროვნების სოციალიზაციის პროცესში მონაწილე ფაქტორებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სოციალური ფუნქციის ფაქტორს და მასთან დაკავშირებულ დეფექტებს. საკითხი ეხება პიროვნების დანიშნულების გააზრებას, საზოგადოებაში გარკვეული სტატუტის მოპოვებას.

პიროვნების მიერ ამა თუ იმ სოციალური ფუნქციის მოპოვება განისაზღვრება მისი ფსიქიკური თვისებებით, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, ამ უკანასკნელის გავლენით კი წარმოიშობა გარკვეული სოციალური დეფექტები, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოშობს ანტისამართლებრივ ქმედებებს.

პიროვნების სოციალური ფუნქციის გააზრება მოითხოვს პასუხისმგებლობის გრძნობას, მიღებული შედეგების წინასწარ განსაზღვრას, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ მის ფსიქიკაზე, მათ შორის უარყოფითი, თუკი შეიქმნება შესაბამისი პირობები, ისეთი როგორიცაა პიროვნების უმეცრება, არაკომპეტენტურობა, ფსიქო-ფიზიკური ნაკლი — ცუდი მხედველობა, სმენა, ნელი რეაქცია და სხვა; რომლებიც აფერხებს მისი სოციალიზაციის პროცესს. ეს კი უარყოფითად განაწყობს სოციალური ფუნქციის მიმართ, რაც აისახება მის ფსიქიკაზე, რაც ქმნის კონფლიქტურ სიტუაციას. პიროვნებას უყალიბდება ისეთი უარყოფითი თვისებები, როგორიცაა უხეშობა, გაღიზიანებადობა და სხვა, რაც ანტისამართლებრივი ქმედების საფუძველი ხდება.

სოციალიზაციის ეს დეფექტები იწვევს სოციალურ დეგრადაციას, რასაც თან ახლავს სოციალური მოთხოვნების სტრუქტურის რღვევა. ინდივიდის დეგრადაციას მივყავართ ანტისამართლებრივი ქმედებებისკენ, იგი უარყოფითად წარმოაჩენს თავს კონფლიქტურ სიტუაციებში და ქმნის მათ იქ, სადაც, ჩვეულებრივ, ის არც კი უნდა იყოს, ჩადის დანაშაულს და აფართოებს მის არეალს.

დანაშაულის ფსიქოლოგიური სტრუქტურა ფორმირდება იმ კომპონენტებისაგან, რომლებიც წინ უსწრებენ მას. ეს კი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ მათი წარმოშობის მიზეზები და დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესში მთავარია დანაშაულის მოტივის და მიზნის განსაზღვრა.

მოტივი, როგორც დანაშაულის ფსიქოლოგიური მექანიზმის ელემენტი, როგორც მოქმედება საერთოდ, გამოხატავს პიროვნების დამოკიდებულებას საგნის ან ობიექტის მიმართ. იგი გამოდის როგორც მოქმედების დაწყების მიზანი. ნებისმიერი ქმედების დროს პირი ხელმძღვანელობს განსაზღვრული მოტივით, რომელიც აისახება მის ფსიქიკაში მოთხოვნილების ან ინტერესის სახით. დანაშაულის ჩადენის დროს მოტივს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია.

მოტივი საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური სტრუქტურის მატარებელია, რომელიც მოიცავს აზრობრივ-იდეალურ მოდელს. თავდაპირველად ხდება მოქმედების მიზნისა და მოტივის გაცნობიერება, მოტივებს შორის წინააღმდეგობის არსებობის აღიარება, გადაწყვეტილების მიღება, მისი რეალიზეციისატვის განსაზღვრული ფორმებისა და საშუალებების განსაზღვრა. დანაშაულის ჩადენის მომენტში მოტივი გამოდის როგორც გამღიზიანებელი, რომელიც ნებისყოფად ფორმირდება. ამ კუთხით მოტივი გამოდის როგორც გაღიზიანების აზრობრივი მოდელი. მოტივი ფორმირდება არაერთგვაროვნად. გაღიზიანება განისაზღვრება მრავალი მოვლენით. ესაა ზნეობრივი, სიხარბე, დაცვითი, აგრესიულობა და ა.შ. ამიტომ ამა თუ იმ მოქმედების მოტივის განსაზღვრის დროს, მათ შორის დანაშაულის, მომხრე და მოწინააღმდეგე უნდა შეჯერდეს საზოგადოებრივი ურთიერთობის პოზიციიდან. ესაა ბრძოლა სხვადახსვა მოტივებისა, რომელიც დამოკიდებულია თვითონ პიროვნების ბუნებაზე. მოტივაციის ანალიზის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნებისყოფას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია მოტივის არჩევის დროს. მოტივი, რომელიც ეწინააღმდეგება სამართალსა და ზნეობას დანაშაულის ჩადენის საფუძველია, ისინი ეწინააღმდეგებიან გონებას. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ გადაწყვეტილება მიიღება სხვადასხვა სიტუაციებში, რომელიც განსაზღვრავს პიროვნების ფსიქიკურ მდგომარეობას დროის მცირე მონაკვეთში. დანაშაულის ჩადენის პროცესი არის ჩვეულებრივი და ექსტრემალური, გამომდინარე სიტუაციიდან. აქ მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ფსიქიკურ მდგომარეობას. გადაწყვეტილება მიიღება დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ზოგჯერ გარკვეული მოტივაციით, ზოგჯერ უმოტივოდ. ასე რომ დანაშაული, ჩადენილი საზოგადოებრივი ქონების მითვისების, განიავების ან საშახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით, გამორიცხავს ექსტრემალურ სიტუაციას. იგი ჩადენილია ცივი გონების, განსჯის შედეგად. დანაშაული, ჩადენილი ექსტრემალურ სიტუაციაში, სადაც გაღიზიანება შეფერილია ემოციურ-სტრესული მდგომარეობით. გადაწყვეტილება მიღებულია დროის მცირე მონაკვეთში, ძლიერი გაღიზიანებით, სადაც მოტივი იმპულსურად წარმოიშობა. ასეთი მოტივები დამახასიათებელია ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილი მკვლელობების, ხულიგნური გამოხტომების, გაუპატიურების, სხეულის მძიმე ფიზიკური დაზიანების მიყენების დროს. ამგვარი მოტივები წარმოიშობა უშუალოდ დანაშაულის ჩა-

დენის დროს. თუ დანაშაულის მოტივაციური ეტაპი მთავრდება გადაწყვეტილების მიღებით, მაშინ მისი პრაქტიკული შესრულების ეტაპი წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების მოქმედებაში მოყვანას. ამ შემთხვევაში ინდივიდის მთელი ფსიქიკური ენერგია მიმართულია დასახული მიზნის მიღწევისაკენ. მიზნის მიღწევის პროცესში ფსიქიკური აქტივობა სხვადასხვაგვარია. იგი შეიძლება იყოს მაღალი და მიზანმიმართული, ასევე გაუბედავი, თვითდაჯერებულობას მოკლებული, რომელიც შეიძლება მთლიანად ჩაქრეს, განელდეს სხვადასხვა გარე და შინაგანი ფაქტორების გავლენით. დანაშაულის მოტივაციისა და მიზნის ფსიქიკური გაცნობიერება შეიცავს მისი პროგნოზირების ელემენტებს.

პიროვნების ნებისმიერი ქმედება, რომელიც მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ცვლილებებს იწვევს, ამა თუ იმ ზომით მოქმედებს მის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე. განსაკუთრებით თვალშისაცემია ეს ცვლილებები სამართალსაწინააღმდეგო ქმედების დროს. ჩადენილს მივყავართ ინდივიდის ფსიქიკის დაძაბვამდე, რომელიც შეიძლება იყოს იმპულსური და ხანგრძლივი, რაც იწვევს მისი ფსიქიკის ძირეულ ცვლილებებს. ფსიქოლოგიური გადატვირთვა ორი ფაქტორითაა განსაზღვრული, ჩადენილის ემოციური შეფასებით და ქმედების ანტისამართლებრივი ბუნებით, რაც დანაშაულს სოციალურ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს ფაქტორები ეხმარება პიროვნებას ჩადენილის გაცნობიერებაში. მან იცის, რომ სამართლებრივ გარემოს შეეწინააღმდეგება — მან შეიგნო დანაშაულის სიმძიმე. შეიძლება ინდივიდს არ ჰქონდეს გაცნობიერებული ჩადენილი დანაშაული, რაც გამოწვეულია სოციალური დეფექტებით. თუმცა ყველა ამ სიტუაციაში დანაშაულის მიზეზია საზოგადოებასა და პიროვნებას შორის კონფლიქტი, რომლითაც იგი უპირისპირდება საზოგადოებაში გაბატონებულ ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს, რომელსაც თან ახლავს დაბნეულობა, შიში, იმედგაცრუება, იზო-ლაცია, გრძნობებზე ძლიერი ემოციური ზემოქმედება და მისი ხანგრძლივობა იძლევა მყარი ფსიქიკური მდგომარეობის ჩამოყალიბების წინაპირობებს. მათი გავლენით ინდივიდი კარგავს ძველ ფსიქიკურ თვისებებს და იძენს ახალს, რომელსაც მივყავართ დეპრესიამდე. ინდივიდის მცდელობა გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან ძალზე რთულია. ამიტომ იგი ცდილობს დარჩეს „ძველ მდგომარეობაში“ და გაამართლოს ჩადენილი დანაშაული, იგი თავის თავს აყენებს განსაკუთრებულ მდგომარეობაში სხვებთან მიმართებაში. პიროვნების დაძაბული ფსიქიკური მდგომარეობა იზრდება დანაშაულის წინმსწრებ პერიოდში, ვიდრე გამოავლენენ და დასჯიან. ეს გამოწვეულია დანაშაულის შეგნებით, გამოვლენის შიშით და იმ გაურკვევლობით, რომელშიც იმყოფება დამნაშავე გამოვლენამდე. დანაშაულზე მუდმივი ფიქრი თანდათან ბატონდება მის ფსიქიკაში, რაც აისახება მის გარეგან ქცევებშიც. იგი ცდილობს ილაპარაკოს მომხდარზე, შეაფასოს მომხდარი როგორც გარეშე პირმა და ა.შ. იგი ცდილობს მოვიდეს დანაშაულის ადგილზე, გაანადგუროს დარჩენილი სამხილები, მიიღოს ყველა ზომა, რომ თავიდან აიცილოს გამომჟღავნება და ა.შ. ხშირად მისი დანაშაულის ადგილზე მისვლა გამოწვეულია სურვილით მეხსიერებაში აღიდგინოს მომხდარი, გამოსცადოს მომხდარის ემოციონალური ზემოქმედება, ჩადენილისადმი ადაპტაციის სურვილი. დანაშაულის ადგილისადმი მიზიდულობა გამოწვეულია ემოციონალური დაძაბულობის მოხსნის სურვილით.

როდესაც დანაშაული დიდი ხნის განმავლობაში გაუხსნელია, დამნაშავეს უჩნდება დაუსჯელობის გრძნობა და იქმნება სხვა დანაშაულის ჩადენის წინაპირობა, რაც გარეგნულად გამოიხატება ცინიზმში, მედიდურობაში, დაუნდობლობაში, მორალისა და სამართლის ნორმებისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში. პიროვნებას უყალიბდება აშკარა ანტისოციალური განწყობა, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს ახალი დანაშაულის ჩადენისათვის საკმაო მოტივაციას. იცვლება მისი ფსიქიკური სტატუსი. გარეგნულად ინდივიდი ხდება თავხედი, უგულისყური, გულგრილი, რაც გადადის შინაგან სტრუქტურაში და მყარად იკიდებს ფეხს მის ფსიქიკაში.

ანტისოციალური და ანტისამართლებრივი ქმედებების თავიდან აცილება ძალზე რთული პროცესია. პრევენციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტების გამოყენების მექანიზმის შემუშავება, თუმცა მთავარი მაინც ადამიანია, რომელიც თავისი ფსიქოლოგიით, ინტერესებით, მისწრაფებებით ამ ფაქტორების გავლენის ქვეშ ექცევა.

ანტისაზოგადოებრივი და სოციალურად საშიში გამოვლენის საფუძველში ადამიანის ქმედება ძევს. ანტისაზოგადოებრივი ქმედება მიმართულია საზოგადოების, მისი ცალკეული ჯგუფების, კონკრეტული ადამიანების ინტერესების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სოციალური ინტერესები, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული ქმედება და პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა (გაცნობიერება, ნება), სწორედ ეს უკანასკნელია საკმაოდ გამოკვლეული, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ დანაშაულის პრევენცია.

ანტისოციალური და ანტისაზოგადოებრივი ქმედება რამდენიმე ფორმით ვლინდება. ესაა ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების დარღვევა და დანაშაული, რომელსაც მოსდევს სასჯელი. ამიტომ,

ანტისაზოგადოებრივი ქმედების ხარისხი განისაზღვრება იმ ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფით, რომლებიც მართავენ საზოგადოებას. ამას ემატება პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა, მისი ზნეობრივი და სამართლებრივი შეგნება, თუ ადგილი არა აქვს იმპულსურ ქცევას.

ამ მიმართებით საჭირო გამოვიკვლიოთ ის ფსიქოლოგიური თვისებები, რომლებიც ამ ფაქტორებშია ჩართული. მას მიეკუთვნება პიროვნების ტემპერამენტი და ხასიათი, მისი რეაქცია გამღიზიანებელზე, სტრესულ სიტუაციაში და სხვა.

პიროვნების ხასიათი, როგორც გარკვეულ ნიშანთა კომპლექსი, ვლინდება შრომისადმი, სხვა ადამიანებისადმი, საკუთარი პერსონისადმი დამოკიდებულებაში. იგი ხელს უწყობს ადამიანის სოციალიზაციის პროცესს. ამ შემთხვევაში პიროვნება ან ეგუება არსებულ ვითარებას ან ვერ ეგუება, რაც ანტისაზოგადოებრივ ტენდენციებში გადადის და მისი ხასიათის განმ-საზღვრელი ხდება. ინდივიდზე ზემოქმედების ფაქტორები მრავალმხრივია. ესაა ზნეობრივი, არსებობისათვის აუცილებელი პირობები, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პირობები, აღზრდის, ოჯახისა და სოციალურ ჯგუფებში ურთიერთობის პირობები, ამ პირობების ინტერპრეტაცია და სხვა.

ინდივიდის ხასიათის ფორმირებაზე ამ ფაქტორების ზემოქმედება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. ამ შემთხვევაში შეიძლება ანტისაზოგადოებრივად განწყობილ პიროვნებას ახასიათებდეს დადებითი და პირიქით, კეთილგანწყობილებს უარყოფითი. ეს ყველაფერი დამოკიდებულია პიროვნების ღირებულებით ორიენტაციაზე. სწორი ორიენტაცია საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ დანაშაულის პრევენცია.

პიროვნების ტემპერამენტი, როგორც ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის ფაქტორი, განსაზღვრავს მის მრავალ თვისებას, მათ შორის, მის ხასიათს. პიროვნების ტემპერამენტის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულებრივი ქმედების განსაზღვრისას.

ტემპერამენტი, როგორც პიროვნების ბუნებრივი თვისება, სოციალლიზაციის პროცესში პირვანდელი სახით არ მონაწილეობს. მკვეთრად გამოხატული ნიშნებით (სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი, მელანქოლიკი) იგი იცვლება პიროვნების მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების შესაბამისად. თუმცა, ტემპერამენტის ძირითადი ნიშნები თან ახლავს ინდივიდის ქმედებას, თუნდაც მისი რეაქციით ამა თუ იმ გამღიზიანებელზე. ამიტომ ადამიანის ესა თუ ის გამოვლენა შეიძლება პროგნოზირებადი იყოს კონფლიქტური, სტრესული და სხვა ქმედებების დროს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიაში მიღებული ტესტირების მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ინდივიდის რეაქცია გარე და შიგა გამღიზიანებელზე, რაც შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ პიროვნების ტემპერამენტი.

ტემპერამენტის გამოვლენის სხვადასხვა ფორმები უნდა იქნას მიღებული კონფლიქტური სიტუაციის დროს, რომელსაც მოსდევს ანტისაზოგადოებრივი ქმედება. სწორედ კონფლიქტურ სიტუაციაში განსაკუთრებით ვლინდება ტემპერამენტი, რომელიც ხშირად დანაშაულით მთავრდება. ნებისმიერი სტრესული სიტუაცია ერთგვარი ტესტია ტემპერამენტის დასადგენად.

ანტისოციალური ქმედების დროს, რომელიც დანაშაულში გადადის, ადგილი აქვს გაუცნობიერებელი მოტივით ჩადენილ ქმედებებსაც. ამიტომ მისი პროფილაქტიკისათვის მნიშვნელობა ენიჭება ანტისაზოგადოებრივი მოტივების შესწავლას. მოტივის ცოდნის გარეშე ძნელია დაადგინო დანაშაულის ჩადენის მიზეზი, რამ უბიძგა პიროვნებას დანაშაულისაკენ, შესაბამისი სასჯელი კი ყველაზე კარგი აღმზრდელობითი მეთოდია. პიროვნება სასჯელის მიმართ ადაპტირებული უნდა იყოს (სამართლიანად დაისაჯა თუ არა).

მოტივების შესწავლა ძალზე რთულია, რადგან მისი დადგენის არც მეცნიერული და არც პრაქტიკული მეთოდი არ არსებობს. მისი შესწავლა დანაშაულის პრევენციას უწყობს ხელს.

მოტივების კვლევის საქმე მოითხოვს პიროვნების ფსიქოლოგიური სტრუქტურის დადგენას. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების ანალიზი, მათი დამოკიდებულება მიღებულ ნორმებთან და წესებთან. დასადგენია იმ მიკროგარემოს შემადგენლობა, რომლისკენაც მიისწრაფვის პიროვნება, მისი კონფორმულობა, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ანტისაზოგადოებრივი ქმედების მოტივები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მისი რეაქცია გარე გამღიზიანებლებზე, რაც განსაკუთრებით ვლინდება კონფლიქტურ და სტრესულ სიტუაციებში. ამგვარი ხასიათის გადახრები შეინიშნება კანონმორჩილი პირების მიმართაც.

ანტისაზოგადოებრივი ქმედების მოტივების შესწავლისას პროფილაქტიკის მიზნით არ უნდა ამოვიდეთ იურიდიული შაბლონური წარმოდგენებიდან. ქურდობა — სიხარბე, ცოლის მკვლელობა – ეჭვიანობა, ხულიგნობა – საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. მსგავსი ქმედებების ანალიზი ხშირად ზედაპირულია. ამგვარი ქმედების მოტივი შეიძლება სულ სხვა იყოს. მაგალითად, პიროვნების მისწრაფება წარმოადგინოს თავი როგორც უშიშარმა, დაიმკვიდროს ადგილი გარკვეულ სოციალურ ჯგუფებში, იყოს ლიდერი, განთავისუ-

ფლდეს ცხოვრების მძიმე პირობებისაგან და სხვა. ამრიგად, შინაგანი მოტივი, რომელიც მიმართულია ანტისაზოგადოებრივი ქმედებისაკენ, ხშირად ინიღბება გარეგანი ნიშნებით, რომელიც სრულად არ ასახავს ძირითად შინაგან მოტივებს. ამიტომ აუცილებელია პიროვნების სტრუქტურის ძირეული შესწავლა. როგორც ცნობილია, პიროვნების ფორმირებაზე, მათ შორის ანტისაზოგადოებრივი ქმედებისაკენ მის მისწრაფებაზე, გავლენას ახდენს გარემო პირობები. სოციალური გარემო – სკოლა, ინსტიტუტი, შრომითი კოლექტივი, ოჯახი და მიკროგარემო, რომელშიც მოქმედებს პიროვნება და გამოხატავს თავის ინტერესებს, მისწრაფებებს, მოთხოვნილებებს. ეს მიმართებები შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს ან არ ემთხვეოდეს და ამ დროს პიროვნებაში ხდება გაორება, რომელიც აისახება მის იდეალებსა და ღირებულებებზე, ზნეობრივი ნორმების ფორმირებაზე. ამგვარი ანალიზი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ პიროვნებისა და გარემოს ურთიერთობის აღწერა, მისი პროგნოზირების თვალსაზრისით. პროგნოზის შესწავლა მოითხოვს პიროვნების შინაგანი სამყაროს კავშირის დადგენას გარე სინამდვილესთან, რამაც ხელი შეუწყო პირადი თვისებების ჩამოყალიბებას.

აქედან გამომდინარე, მოტივის ფორმირება ხდება სოციალური და მიკროგარემოს ზემოქმედების შედეგად. რატომაა, რომ ზოგიერთი პიროვნება რთულ კონფლიქტურ სიტუაციაში არ აავლენს აგრესიას, სხვები კი ჩადიან კრიმინალურ დანაშაულს. ფსიქოლოგები და კრიმინოლოგები, რომლებიც იკვლევენ ამ პრობლემას, ერთხმად აღნიშნავენ, რომ გარემო პირობების სუბიექტური მოდელი ქმნის დანაშაულებრივ ქცევას.

ნებისმიერი ანტისაზოგადოებრივი ქმედების მიზეზი არის წინააღმდეგობა პიროვნების სურვილებსა და მოთხოვნილებებს შორის. ამ სიტუაციიდან გამოსავალი კი არის ანტისამართლებრივი ქცევა. ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას ყურადღება უნდა მივაქციოთ პიროვნებას, მის ფსიქოლოგიურ სტატუსს, რომელშიც ინტეგრირებულია სოციალური და პიროვნული ასპექტები. ამიტომ მნიშვნელოვანია სამართალდამცველებმა ყურადღება მიაქციონ შინაგანი მოტივების გარეგან გამოვლენას.

პიროვნების მიერ სოციალური და ზნეობრივი ღირებულებების ინტერპრეტაცია ყოველთვის პრობლემატური იყო, მათი ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტა კი შეუძლებელია.

დანაშაულის პრევენციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას. კულტურული და ზნეობრივი ღირებულებების სწორი ინტერპრეტაცია გულისხმობს პიროვნების სწორ ორიენტაციას, მისი სოციალური ფუნქციის შესრულების ნიშნით.

ანტისაზოგადოებრივი ქმედების ფორმირებაში განსაზღვრული როლი განეკუთვნება სამართლებრივი ნიჰილიზმის ცნებას. მის ძირებს წარმოადგენს, ერთი მხრივ, არასრული ინფორმაცია დანაშაულის დასჯის ზომების შესახებ და დანაშაულის გაუხსნელობა, რაც ბადებს დაუსჯელობის ილუზიას და ხშირ შემთხვევაში დაუსჯელობის განცდას. ამგვარი ნიჰილიზმი რომ მოიხსნას, საჭიროა საზოგადოების მეტი სამართლებრივი ინფორმირება და სამართალდამცველების მაღალი პროფესიონალიზმი, რაც ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციას.

საკვანძო სიტყვები: დანაშაული, პიროვნება, საზოგადოება, სოციალიზაცია, ზნეობა, სამართალი, მოტივი, კონფლიქტი, პრევენცია, ცნობიერება, ნება, ნებისყოფა, ტემპერამენტი, ხასიათი, მოთხოვნილებები, სტრესი, იდეალი, ღირებულებები, ნიჰილიზმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გერიგი, ვ. ზიმბარდო – ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბ. სახ. უნ., 2009წ.
2. ი. იმედაძე — ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 2008წ.
3. ი. ანტონიანი, ვ. გულდანი — კრიმინალური ფსიქოლოგია, მოსკოვი, 1991 წ. (რუსულ ენაზე).
4. მ. ნარგიზიშვილი, პრაქტიკული ფსიქოლოგია, თბ., 2010 წ.